

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №14

11.07.2022 წ.

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

15:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ნიკოლოზ გახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ვლადიმერ ბოჟაძე, ნინო ვარდოსანიძე, ლევან ჯაფარიძე, ლევან აბაშიძე, ალექსანდრე ხუჯაძე, ირაკლი ეძგვერაძე, სალომე კობალაძე, ვახტანგ სურგულაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. ნინო წულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
2. ოთარ ჩიტიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ გახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 30 ივნისის №12-03221812-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.
თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის კ. კალაძის 2022 წლის 15 ივნისის №12-03221661-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.
თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის კ. კალაძის 2022 წლის 23 ივნისის №12-032217431-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.
თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის კ. კალაძის 2022 წლის 23 ივნისის №12-032217437-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული

5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 28 ივნისის №12-0322179123-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

6. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 6 ივლისის №12-0322187132-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

7. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 7 ივლისის №12-032218894-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

8. მიმდინარე საკითხები.

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა დამსწრე
საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 30 ივნისის №12-03221812-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ოთარ ჩიტიძემ.

მომხსენებლის (ო. ჩიტიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაკვეთით ა(ა)იპ „სენი-კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა“ (ს/ნ 204419977) შეიმუშავა ლისის ტბის მიმდებარე არეალის გარემოსდაცვითი და ქალაქმშენებლობითი კვლევების მართვის დოკუმენტი. აღნიშნული კვლევის მიმდინარეობის პერიოდში, წარმოდგენილი არეალის სამშენებლოდ განვითარება დასაშვები არ იყო, ვინაიდან, კვლევების მიზანს წარმოადგენდა მათ შორის: დატბორვის, წყალშემკრები აუზისა და ტბის მკვებავი არხების არეალის საზღვრების დაზუსტება; მოსალოდნელი საფრთხეების შესარბილებელი ღონისძიებების, ტბის წყლით მომარაგებისთვის საჭირო ბუნებრივი ციკლის დაცვისა და მართვის რეკომენდაციების მომზადება; საკვლევ არეალში წყალშემკრები ხევების დაცვის ზუსტი ბუფერების დადგენა.

აღნიშნული კვლევის შედეგად გამოვლინდა კონკრეტული მიგნებები და რეკომენდაციები, რომელთა ნაწილიც უკვე აისახა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში. კერძოდ, არეალის სამშენებლოდ განვითარება დასაშვები გახდა განაშენიანების რეგულირების გეგმებით, ახალი რეგლამენტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული კონკრეტული პირობების შესაბამისად.

წარმოდგენილ შემთხვევაში, ცვლილების მიზანია კვლევის შესაბამისად „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაზე“ (დანართი №1) აისახოს მდინარის წყალდაცვითი ზონები, რომელიც გათვალისწინებულ იქნება ტერიტორიის განვითარებაზე მსჯელობისას, გეგმარებით და სამშენებლო საქმიანობის პროცესში.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით შეკითხვა დასვა:

ქ-ნმა ნინო წულაძემ - ა(ა)იპ „სენი-კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის“ მიერ ლისის ტბის მიმდებარე არეალის კვლევისა და კვლევის შედეგების შესახებ.

მომხსენებლის, ბ-ნი ოთარ ჩიტიძის მიერ დასმულ შეკითხვაზე გაცემული პასუხის თანახმად, ა(ა)იპ „სენი-კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის“ მიერ კვლევა ჩატარდა ლისის ტბის ბუნებრივი წყალმომარაგების რესურსების გამოვლენის მიზნით და გამოვლინდა 5 ბუნებრივი წყალმომარაგების კერა. აღნიშნული 5 შემავსებელი არხიდან სამი ცნობილი იყო და, შესაბამისად, რუკაზეც არის დატანილი, ხოლო კვლევის შედეგად გამოვლენილი დამატებით 2 წყალმომარაგების წყარო ცვლილების შემდგომ აისახება რუკაზე და ხუთივე მკვებავი არხის არეალი დაზუსტდება. ასევე, წარმოდგენილი ცვლილებით, ბუნებრივის ხევის (ლისის ტბის ერთ-ერთი მკვებავი არხი) ღერძული ხაზიდან, 10-10 მეტრიანი ბუფერული შეზღუდვა დაწესდება. გარდა ზემოაღნიშნულისა, ლისის ტბის ერთ-ერთი შემავსებელი არხია მიწისქვეშა წყლები. აგრეთვე, ლისის ტბის წყლით მომარაგების ყველაზე დიდ რესურსს წარმოადგენს სოფ. თხინვალა, სადაც გაედინება სეზონური მდინარე და წყლით ამარაგებს ლისის ტბას.

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ, რომელმაც ისაუბრა ლისის ტბის დაშრობის, ტბის მკვებავი წყლის რესურსების და ამ რესურსების (ბუნებრივი ხევები, მდინარეები, მიწისქვეშა წყლები) თაობაზე და აღნიშნა, რომ მსგავსი საკანონმდებლო ცვლილებებით შესაძლებელი გახდება ლისის ტბის შენარჩუნება და მისი ბუნებრივი შემავსებელი არხების დაცვა.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 30 ივნისის №12-03221812-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის („დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის – რუკის“ (დანართი №1)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 30 ივნისის №12-03221812-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის („დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის – რუკის“ (დანართი №1)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 15 ივნისის №12-03221661-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 14 ივნისის №22.905.994 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 6 წინადადება - №01221593944-67; №01221593949-67; №01221442502-67(№0122159399-67); №01221442518-67(№0122159382-67); №01221453554-67(№01221504207-67) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის -

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - №01221593944-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სერგო გუჯევიანის ქუჩა №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.26.004.140) მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.26.004.140) პრივატიზებას/განკარგვას.

№01.19.26.004.140 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ასევე ვრცელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება, რომელიც ვრცელდება რეგისტრაციებზე არსებულ მწვანე ნარგავებზე. შესაბამისად აღნიშნული ფენა რჩება უცვლელი.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №01221593949-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სერგო გუჯევიანის ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.26.004.141) მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.26.004.141) პრივატიზებას/განკარგვას.

№01.19.26.004.141 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ასევე ვრცელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება, რომელიც ვრცელდება რეგისტრაციებზე არსებულ მწვანე ნარგავებზე. შესაბამისად აღნიშნული ფენა რჩება უცვლელი.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ „ნუშის ბაღის“ ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.012.025-ის მიმდებარედ) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატყეო ზონითა და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულ და მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოდგენილია მოქალაქეთა განცხადებები №19/01212142922-16, №19/01212211904-16, №19/01212211956-16,

№19/01212211977-16), რომელშიც აღწერილია და დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის 2021 წლის 5 აგვისტოს 08/03 დასკვნით დასაბუთებულია, რომ ტერიტორიაზე ნებისმიერი სამშენებლო სამუშაოები საფრთხის შემცველია. ნებისმიერი შესაძლო სამშენებლო სამუშაო საფრთხეს უქმნის ფერდის ჩამოშლას, რომელიც სარისკოა ადამიანის სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 10 მაისის №18-01221301264 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილ საპროექტო არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, 2022 წლის 14 ივნისის №61-0122165268 წერილის შესაბამისად, არ არის წინააღმდეგი საპროექტო ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) შეიცვალოს სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და სატყეო ზონით.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - №01221442502-67(№0122159399-67) განცხადებით, ქალაქ თბილისში, ხევისპირის ქუჩა N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.13.01.202) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №72.13.01.202) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და მცირე ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 30 მაისის №0122150864 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - №01221442518-67(№0122159382-67) განცხადებით, ქალაქ თბილისში, ხევისპირის ქუჩა N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი:

№72.13.01.204) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №72.13.01.204) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 30 მაისის №0122150887 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - №01221453554-67(№01221504207-67) განცხადებით, ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება კორპუსი №6-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.419) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს შპს „თბილისი ენერჯის“ საკუთრებაში არსებული გაზგამანაწილებელი პუნქტის გადატანა წარმოადგენს.

საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.419) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 13 ივნისის №01221643967 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა.

№01.17.10.002.419 საკადასტრო ერთეული შესყიდულია ქონების მართვის სააგენტოსგან. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, 2022 წლის 10 ივნისის №61-01221613851 წერილის მიხედვით, არ არის წინააღმდეგი №01.17.10.002.419 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილს მოეხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე ხარვეზის სახით რჩება ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენა. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.17.10.002.419 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე და №01.17.10.002.032 საკადასტრო ერთეულის მცირე ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება კორპუსი №6-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.419) ნაწილზე და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ასევე, №01.17.10.002.032 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია.

წარმოდგენილ №01221593944-67; №01221593949-67; №01221442502-67(№0122159399-67); №01221442518-67(№0122159382-67); №01221453554-67(№01221504207-67) განცხადებებთან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივასთან (სულ: 6 წინადადება) დაკავშირებით განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა. შეკითხვები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარებ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 15 ივნისის №12-03221661-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №01221593944-67; №01221593949-67;

№01221442502-67(№0122159399-67); №01221442518-67(№0122159382-67); №01221453554-67(№01221504207-67) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 15 ივნისის №12-03221661-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №01221593944-67; №01221593949-67; №01221442502-67(№0122159399-67); №01221442518-67(№0122159382-67); №01221453554-67(№01221504207-67) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 23 ივნისის №12-032217431-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 22 ივნისის №22.952.1035 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 6 წინადადება - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის ოურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ქალაქ თბილისში, კოჯრის გზატკეცილის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.15.07.020.048; №01.15.07.020.051 და №01.15.07.020.052-ის ნაწილზე) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის ოურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ქალაქ თბილისში, კოჯრის გზატკეცილის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.15.07.020.048; №01.15.07.020.051 და №01.15.07.020.052-ის ნაწილზე) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება ტექნიკური ხარვეზის სახით ვრცელდება ოთხჯერ, ერთმანეთზე გადადებული ფენების სახით.

აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის ოურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება ქალაქ თბილისში, კოჯრის გზატკეცილის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.15.07.020.048; №01.15.07.020.051 და №01.15.07.020.052-ის ნაწილზე) და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის კორექტირება.

მოთხოვნილი სახით ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის კორექტირების ფარგლებში საპროექტო ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენების საერთო

არეალის კონფიგურაცია რჩება უცვლელი და ხორციელდება ხარვეზის სახით გავრცელებული სამი ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 14 ივნისის №18-01221653212 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმა საპროექტო არეალზე გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გავრცელებული ფენის კორექტირების მიზნით, განხორციელდეს 3 შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კოჯრის გზატკეცილის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.15.07.020.048; №01.15.07.020.051 და №01.15.07.020.052-ის ნაწილზე) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენების მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №01221023155-67(№01221713944-67) განცხადებით, ქალაქ თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №10; ზვიად გამსახურდიას სანაპირო №10-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, მ. ჯავახიშვილის ქუჩისა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №10; ქალაქ თბილისში, დაღმართი საქანელა №9, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №6-ში (კაფე-ბარი „გორაძირი“) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.15.04.004.049 და №01.15.04.004.045) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სპ-2) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს საპროექტო ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსება წარმოადგენს, სადაც მოეწყობა სასურსათო სუპერმარკეტი „აგროჰაბი“, მიწისზედა პარკინგები და საფირმო კაფე-რესტორანი.

განცხადებლის მიერ წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დადგებითი პოზიცია (2022 წლის 16 ივნისის №17 ოქმი).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, №01.15.04.004.047 და №01.15.04.004.006 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე ხარვეზის სახით რჩება სპეციალური ზონა 1 (სპეც-1). აღნიშნულ საკადასტრო ერთეულების მირითად ნაწილზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). შესაბამისად, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ დარჩენილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული

განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.15.04.004.047 და №01.15.04.004.006 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება.

ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1), რაც რჩება უცვლელი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 27 აპრილის №18-01221172960 წერილის მიხედვით, თანახმა საპროექტო არეალზე განხორციელდეს სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება.

ასევე, ხარვეზის სახით საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით, №01.15.04.039 საკადასტრო ერთეულსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე რჩება სპეციალური ზონა 1 (სპეც-1). აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.15.04.039 საკადასტრო ერთეულსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №10; ზვიად გამსახურდიას სანაპირო №10-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, მ. ჯავახიშვილის ქუჩისა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარედ; ქალაქ თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №10; ქალაქ თბილისი, დაღმართი საქანელა №9, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №6-ში (კაფე-ბარი „გორაძირი“) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.15.04.004.049 და №01.15.04.004.045) სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2), №01.15.04.004.047 და №01.15.04.004.006 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) და №01.15.04.004.039 საკადასტრო ერთეულსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია, №01.15.04.004.049 და №01.15.04.004.045 საკადასტრო ერთეულებზე მრავალფუნქციური კომპლექსის (გარდა საცხოვრებლისა) განთავსებისა და №01221713944-67 განცხადებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი მოცულობის და მაქსიმალური სიმაღლის დაცვის პირობით.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - №01213333735-67(№0121335872-67) განცხადებით, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №232ა და №230-ში და აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.72.14.014.884, №01.72.14.014.297, №01.72.14.014.263, №01.72.14.014.871, №01.72.14.014.252, №01.72.14.014.935) ნაწილზე და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-

ის (სპეც-1), საცხოვრებელი ზონისა (სზ) და სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა, ასევე, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონითა (სზ) და სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს გზის სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) დაფიქსირება წარმოადგენს.

განცხადებაზე წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა (№16-01213291701, 25.11.2021წ.) და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 12 აპრილის №16-01221023039 წერილის მიხედვით, 2021 წლის 25 ნოემბრის №16-01213291701 წერილით სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებულია საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, რომლის მიხედვით, გზის მოწყობა გათვალისწინებულია იმ მონაკვეთზე, რომელზეც მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება. შესაბამისად, აღნიშნულ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელებით მოხდება ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა. ამასთან, ვინაიდან, ზემოაღნიშნული ცვლილების შემთხვევაში, მოხდება მიმდებარე მიწის ნაკვეთების უზრუნველყოფა მისასვლელი გზით, მიზანშეწონილია №01.72.14.014.871, №01.72.14.014.976 და №01.72.14.014.775 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმება, მოთხოვნილი კონფიგურაციის შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 19 აპრილის №18-01221092537 წერილის მიხედვით, თანახმა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული (რზ-1) ფენის მოხსნა, ასევე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - №01221473597-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.16.08.001.148; №01.16.08.001.152) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის №1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.16.08.001.148; №01.16.08.001.152) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 20 ივნისის №01221712686 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოიქმნება ხარვეზი. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება №01.16.08.001.036 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) სატყეო ზონითა და საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.16.08.001.148; №01.16.08.001.152, №01.16.08.001.036-ის ნაწილზე) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) საცხოვრებელი ზონა 2-ითა (სზ-2) და სატყეო ზონით ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - №01221473493-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.16.08.007.023, №01.16.08.007.002, №01.16.08.007.004-ის ნაწილზე, №01.16.08.007.022, №01.16.08.006.112-ის ნაწილზე, №01.16.08.007.021, №01.16.08.006.119-ის ნაწილზე) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე, მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილებების ფარგლებში, განიხილავს ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის I ქუჩის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.16.08.007.023; №01.16.08.007.002) და დაურეგისტრირებელი ტერიტორიის პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 20 ივნისის №01221712641 განცხადებით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება

და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

მოთხოვნილი სახით ზონის ცვლილების შედეგად დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.16.08.007.023, №01.16.08.007.002, №01.16.08.007.004-ნაწილზე, №01.16.08.007.022, №01.16.08.006.112-ის ნაწილზე, №01.16.08.007.021, №01.16.08.006.119-ის ნაწილზე) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) საცხოვრებელი ზონა 2-ითა (სზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - №01221592174-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის შესახვევი №4გ-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.33.003.164) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილებების ფარგლებში, განიხილავს ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის შესახვევი №4გ-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.33.003.164) პრივატიზებას.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.19.36.009.012) სამხრეთით გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე ხარვეზის სახით რჩება ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენა. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.19.36.009.012 საკადასტრო ერთეულის სამხრეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული გამწვანების ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და №39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, ჯავახეთის შესახვევი I, კორპუსი №7-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.36.009.012) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია.

წარმოდგენილ №0122168577-67; №01221732891-67; №01221453500-67; №01221469-67; №01221643691-67; №01221403864-67 და №01221372594-67(№01221783096-67) განცხადებებთან (სულ: 7 წინადადება) დაკავშირებით განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა. შეკითხვები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარებ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 28 ივნისის №12-0322179123-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 7 წინადადება - №0122168577-67; №01221732891-67; №01221453500-67; №01221469-67; №01221643691-67; №01221403864-67; №01221372594-67 (№01221783096-67)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 28 ივნისის №12-0322179123-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 7 წინადადება - №0122168577-67; №01221732891-67; №01221453500-67; №01221469-67; №01221643691-67; №01221403864-67; №01221372594-67 (№01221783096-67)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მექანიზმების საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 6 ივლისის №12-0322187132-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მექანიზმების საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 6 ივლისის №22.1026.1128 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 9 წინადადება - №01221791210-67; №01221641563-67; №01221533471-67; №09/01221751689-16; №01221802113-67; №01221784156-67; №14-01221671238-16(№03-032216677; №16-01221684099-67); №01221822516-67; №01221383943-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - №01221791210-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.014.297) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

№01.72.14.014.297 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიის ნაკვეთზე, იგეგმება სპეციალური საგამომიებო სამსახურის ადმინისტრაციული (სათაო) შენობა-ნაგებობის განთავსება.

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს 2022 წლის 21 ივნისის №5/34819 წერილის მიხედვით „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის და „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოსათვის, მუნიციპალიტეტისათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 დეკემბრის №791 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო თანახმა სპეციალურ

საგამოძიებო სამსახურს სარგებლობის უფლებით, უფადოდ გადაეცეს ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ. მდებარე 4440 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1 (მშენებარე) ((მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.72.14.014.297)).

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, 2022 წლის 30 ივნისის №06-01221821562-16 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განხორციელდეს ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ.-ზე მდებარე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების (მიწის/უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №01.72.14.014.297) ფუნქციური ზონის ცვლილება, კერძოდ, სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) ნაცვლად განისაზღვროს საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6), იმ პირობით, რომ აღნიშნული ქმედების განხორციელების შედეგად სახელმწიფოს არ წარმოეშობა რაიმე სახის ვალდებულება და არ გაუარესდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მდგომარეობა/ღირებულება.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №01221641563-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ელენე ახვლედიანის ხევი №14-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.057.048) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ისა (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ვინაიდან, №01.16.06.057.048 საკადასტრო ერთეული მდებარეობს ისტორიული ნაწილის დამცავ ზონაში, ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 ივნისის №60-01221781522 წერილის შესაბამისად, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის №137 დადგენილების, „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკურებულოს 2015 წლის 6 აპრილის №91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილების თანახმად, ზემოაღნიშნული საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი №18, 23.06.2022წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც ქ. თბილისში, ელენე ახვლედიანის ხევის №14-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.057.048) გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1- ისა (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა (რზ-2) ფენების მოხსნის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 14 ივნისის №N01221653384 (№01220951733, 05.04.2022წ.) წერილის მიხედვით, თანახმა საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენები.

ზემოაღნიშნული ცვლილების შედეგად წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიის ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ელენე ახვლედიანის ხევი №14-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.057.048) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ისა (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - №01221533471-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.10.033) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო განიხილავს №81.02.10.033 საკადასტრო ერთეულის პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულის პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 30 ივნისის №01221813598 წერილის მიხედვით, საპროექტო მონაკვეთების უმეტეს ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივი გზის კონტურის მიღმა. განსახილველ ტერიტორიას ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. ამასთან, ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს, დაკორექტირდეს არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და გავრცელდეს ფაქტობრივი გზის კონტურის

შესაბამისად საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიაზე, წარმოდგენილი კონფიგურაციის მიხედვით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, №81.02.10.033 საკადასტრო ერთეულზე და მის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.02.10.033; №81.02.10.269, №81.02.10.034; №81.02.10.171) დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ხარვეზის გასწორებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით, ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.02.10.033; №81.02.10.269, №81.02.10.034; №81.02.10.171) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - №09/01221751689-16 განცხადებით, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №253-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.12.003.396) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 მარტის №3/7740-20 გადაწყვეტილებით თამარ ბარნოვის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის №20.1311.1618 განკარგულება იმ ნაწილში, რომლითაც თამარ ბარნოვს უარი ეთქვა მის საკუთრებაში არსებული (2600 კვ.მ. ს.კ: №01.72.12.003.396) მიწის ნაკვეთისათვის ფუნქციური ზონის ცვლილებაზე და დადებითი გადაწყვეტილების გამოტანზე, არსებული მიწის ნაკვეთისთვის საცხოვრებელი ზონა 2-ის სტატუსის მინიჭებაზე. ასევე, ბათილად იქნა ცნობილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ის ნაწილი, რომლითაც თამარ ბარნოვის საკუთრებაში არსებულ (2600 კვ.მ. ს.კ: №01.72.12.003.396) ნაკვეთს ფუნქციურ ზონად განესაზღვრა სარეკრეაციო ზონა 1-ის სტატუსი, ბათილად ცნობილ ნაწილში ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტა განისაზღვრა მისი ბათილად ცნობის დღიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 24 ნოემბრის №3/ბ-1982-21 განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 9 ივნისის განჩინებით (საქმე №ბს-116(3კ-22)) საკასაციო საჩივრები

დანარჩენ ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და აღნიშნულ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 24 ნოემბრის განჩინება №01.72.12.003.396 მხოლოდ საკადასტრო ერთეულის ნაწილში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2021 წლის 9 მარტის №3/7740-20 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №253-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.12.003.396) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხნა მისაღებია.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა ვ. სურგულაძემ და ქ-ნმა ს. კობალაძემ, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №253-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.12.003.396) მოთხოვნილი სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნის შესახებ და აღნიშნეს, რომ აღნიშნული ცვლილება მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ.

წარმოდგენილ წინადადებას (განცხადება №09/01221751689-16) ცალკე ეყარა კენჭი.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა:

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №253-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.12.003.396) მოთხოვნილი სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 2

თავი შეიკავა - 0

კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყდა: რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №253-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.12.003.396) მოთხოვნილი სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნის საკითხის (განცხადება №09/01221751689-16) ქალაქ თბილისში მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - №01221802113-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა №84-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი:

№01.72.14.038.711) ნაწილზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონის (სზ) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება.

ვინაიდან, №01.72.14.038.711 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე არეალზე აღნიშნული ფუნქციური ზონით (სსზ-1) არის გაცემული ნებართვები, რომლებზეც დგას შენობა-ნაგებობის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული სააგენტოს ინიციატივით, ფაქტობრივი ძალამარეობის დაზუსტების მიზნით, საცხოვრებელი ზონის (სზ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება ხორციელდება №01.72.14.038.712, №01.72.14.038.713, №01.72.14.038.424, №01.72.14.038.373 და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზეც.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დაგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცებამდე №01.72.14.038.711 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდებოდა მაღალი ინტენსივობის ზონა, შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებით მოხდება წინამდებარე დაგენილებით მიღებული ზიანის ანაზღაურებაზე მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა, №84-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.038.711, №01.72.14.038.712, №01.72.14.038.713, №01.72.14.038.424, №01.72.14.038.373) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე საცხოვრებელი ზონის (სზ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - №01221784156-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.006.036) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ისა (სზ-2) და სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 1-ელი ივლისის №01221823421 წერილის შესაბამისად, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

№01.14.06.006.036 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ

განვითარება მიმდებარე გარემო განაშენიანების გათვალისწინებით და სარეკორდო სივრცეების მოწყობა.

ზემოაღნიშნული ცვლილების შედეგად მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება №01.14.06.006.097; №01.14.06.006.100, №01.14.06.006.086; №01.14.06.006.065; №01.14.06.006.066 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე გავრცელებული სარეკორდო ზონა 1-ისა (რზ-1) და საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სარეკორდო ზონა 1-ითა (რზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. აღნიშნული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელების შემთხვევაში მოხდება ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა ვინაიდან ტერიტორია წარმოადგენს მოასფალტებულ სივრცეს, რომელსაც გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. კერძოდ, აღნიშნული აკავშირებს უნივერსიტეტის ქუჩასა და ზ. ანჯაფარიძის ქუჩას და წარმოადგენს გამჭოლ გზას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.006.036; და №01.14.06.006.097; №01.14.06.006.100, №01.14.06.006.086; №01.14.06.006.065; №01.14.06.006.066 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე) საცხოვრებელი ზონა 2-ისა (სზ-2) და სარეკორდო ზონა 1-ის (რზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2), სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და სარეკორდო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკორდო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ზ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - №14-01221671238-16(№03-032216677; №16-01221684099-67) განცხადებით, ქალაქ თბილისში, ცხვედამის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.12.002.014; №01.14.12.002.015) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 26 იანვრის №ზს-1112(კ-18) გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში, სააგენტო განიხილავს №01.14.12.002.014 და №01.14.12.002.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილებას.

აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა იმ ნაწილში, რომლითაც ქალაქ თბილისში ცხვედამის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთები (საკადასტრო კოდი: №01.14.12.002.014, №01.14.12.002.015) შეყვანილი იქნა ლანდშაფტურ-სარეკორდო ზონაში.

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ბათილად ცნობა გულისხმობს სადავო ნაწილში ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას მისი თანმდევი შედეგებით, იმავე გარემოებების, საფუძვლებისა და პირობების არსებობისას.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა ვ. სურგულაძემ და ქ-ნმა ს. კობალაძემ ქალაქ თბილისში, ცხვედამის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.12.002.014; №01.14.12.002.015) მოთხოვნილი სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნის შესახებ და აღნიშნეს, რომ აღნიშნული ცვლილება მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ.

წარმოდგენილ წინადადებას (განცხადება №14-01221671238-16(№03-032216677; №16-01221684099-67)) ცალკე ეყარა კენჭი.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა:

ქალაქ თბილისში, ცხვედამის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.12.002.014; №01.14.12.002.015) მოთხოვნილი სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნის მოხსნის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 2

თავი შეიკავა - 0

კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყდა: რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისში, ცხვედამის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.12.002.014; №01.14.12.002.015) მოთხოვნილი სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნის საკითხის (განცხადება №14-01221671238-16(№03-032216677; №16-01221684099-67)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

- განმარტებითი ბარათის „თ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - №01221822516-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.25.014.041) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით (სსზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული გამწვანების ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილებების ფარგლებში, განიხილავს ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, აეროპორტის დასახლებაში არსებული №01.19.25.014.041 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2022 წლის 4 ივლისის №01221854036 წერილის შესაბამისად, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების, სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2) გაუქმების წინააღმდეგი არ არის.

ამასთან, სატრანსპორტო ქვეზონის სისტემური და ერთიანი კონფიგურაციის ჩამოყალიბების მიზნით, მიზანშეწონილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთით არსებული სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2) შეიცვალოს სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1), წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 6 ივლისის №01221871050 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული შიდაკუვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკუვარტალური გამწვანების ფენა. აღნიშნული მონაკვეთი ფაქტობრივი მდგომარეობით წარმოადგენს ტროტუარს. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით მურციელდება საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით, დაურეგისტრირებელ ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკუვარტალური ფენის მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 სექტემბრის №467 განკარგულებით, დამტკიცებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმარებითი დავალება და მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების მოთხოვნით საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ისა (სსზ-3) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) ფარგლებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.25.014.041) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2)

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით (სსზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ი“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი) - №01221383943-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.18.011.128) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში ნუცუბიძე-ვაშლიჯვარის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.18.011.128) პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 4 ივლისის №01221853121 წერილის მიხედვით, თანახმა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონა და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ზემოაღნიშნული ცვლილების შედეგად მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით №01.10.18.011.127 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე ხორციელდება, სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატყეო ზონით და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.10.18.011.128; №01.10.18.011.127-ის ნაწილზე) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5), სატყეო ზონითა და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

წარმოდგენილ №01221791210-67; №01221641563-67; №01221533471-67; №01221802113-67; №01221784156-67 და №01221822516-67; №01221383943-67 განცხადებებთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა. შეკითხვები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 6 ივლისის №12-0322187132-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (№01221791210-67; №01221641563-67; №01221533471-67; №01221802113-67; №01221784156-67; №01221822516-67 და №01221383943-67 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 6 ივლისის №12-0322187132-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 9 წინადადება - №01221791210-67; №01221641563-67; №01221533471-67; №09/01221751689-16; №01221802113-67; №01221784156-67; №14-01221671238-16(№03-032216677; №16-01221684099-67); №01221822516-67; №01221383943-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. ვალაძის 2022 წლის 7 ივლისის №12-032218894-03
წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი წარმოადგინა, ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 6 აპრილის №22.481.538 განკარგულებით მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისში, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი №14/043 და №14/044) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.16.014.043 და №01.14.16.014.044), №01.14.16.015.419 საკადასტრო ერთეულის ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა №01.14.16.014.044 საკადასტრო ერთეულზე ფასთა შორის სხვაობის გადახდის პირობით.

ვინაიდან, №01.14.16.014.044 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ აუქციონის წესით პრივატიზებულ ქონებას და განკარგვის მომენტისთვის ტერიტორიაზე ვრცელდებოდა გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა, აღნიშნულ ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით პოზიცია დააფიქსირა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ.

ქონების მართვის სააგენტო, 2022 წლის 1-ელი აპრილის №17-0122091117-16 წერილის მიხედვით, არ არის წინააღმდეგი №01.14.16.014.044 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მოხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა იმ პირობით, რომ დაინტერესებული მხარე დაფარავს გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნით განპირობებულ ფასთა შორის არსებულ სხვაობას, რომელიც დადგენილი უნდა იყოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. ამასთანავე, სხვაობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ აუქციონზე №01.14.16.014.044 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საწყის საპრივატიზებო ღირებულად განსაზღვრული იყო 357 498 ლარი, თუმცა მიწის ნაკვეთი აუქციონზე გასხვისდა ვაჭრობის შედეგად და აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო ფასი შეადგენდა 483 678 ლარს.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 7 ივნისის №5003684222 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებული, №01.14.16.014.044 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური, როგორც სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2), ასევე საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) შემთხვევაში

იქნებოდა მსგავსი, ვინაიდან ორივე ზონის შემთხვევაში შესაფასებელი მიწის ნაკვეთი აკმაყოფილებს სამშენებლო განვითარებისთვის აუცილებელ ფართობს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ვერ მოხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 6 აპრილის №22.481.538 განკარგულების „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი პირობის შესრულება. შესაბამისად, ცვლილება უნდა შევიდეს 2022 წლის 6 აპრილის №22.481.538 განკარგულებაში და ზონის ცვლილება №01.14.16.014.044 საკადასტრო ერთეულზე უნდა მოხდეს ფასთა შორის სხვაობის გადახდის პირობის გარეშე.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა. შეკითხვები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 7 ივლისის №12-032218894-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0


ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 7 ივლისის №12-032218894-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

დღის წესრიგის მერვე (მიმდინარე) საკითხი - არ განხილულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:



ნიკოლოზ კახეთელიძე